

თეატრი

საოველ-კვირა ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

3 ნომერი

გამოცემა

№ 11

კვირაობით

1885 წელს.

ფასი „თეატრ“-ის

წლით ხუთი (5) მანეთი. ნახევარ წლით სამი (3) მან. შეიძლება ნაწილ-ნაწილად შემოკანა წლის ფასისა: ხელის-მოწერისათვის სამი (3) მანეთი. მისში ერთი (1) მანეთი და მარამობის თვეშიაც ერთი (1) მანეთი ცალკე ნომერა „თეატრ“-ის ღირს სამა (3) შაური. ფასი განცხადებისა: მეორე გვერდზედ სტრუქონზე 5 კაპ. პირველზე 10 კაპ. მთელი უკანასკნელი გვერდი 20 მანეთი, პირველი 35 მანეთი.

ხელის მოწერა მაილება:

თბილისში გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და „თეატრ“-ს რედაქციაში. ქუთაისში კმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გორში ს. მგალობლის შეიღთან. თელავში ი. როსტომაშვილთან. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлиси, Редакция „Театра“.

კორესპონდენტები და საზოგადოთ ნაწერები პრ.-და-პირ „თეატრის“ რედაქციაში უნდა გამოგზავნოს. დაუბეჭდედ წერილებს რედაქცია ავტორს ვერ დაუბრუნებს.

ამ მეორეხეტე ნომერთან ევზავებათ ხელის მოწერებს ჩვენის პოეტის თავ. ალექსანდრე ჭავჭავაძის სურათი.

ქართული



თეატრი

ღმს, კვირას,

3 ნომერი.

ქართული დრამატული დასასვან წარმოდგენილი იქნება:

I კინგო

კომედ. 3 მოქმედ., თხზ. თ. ა. წარმთლისა.

II

ერიდეთ ცეცხლსა

დრამატული ეტიუდი 1 მოქმედ., თარგ. მ. ს.

დასაწყისი 8 საათზე.

ქართული თეატრი



ვართული კვირის სპექტაკლი, როგორც მატერიალურის მხრით, ისე არტისტიკის მეცნიერებით ერთს საუკეთესოთაგანად უნდა ჩათვალოს ესლანდელს სეზონში. ბაზასხანის ხსლ-გაზდობის და ხელისულების გარდა, რომელნიც უოველ-

თავს მუყაითად დაიარება და ქართული თეატრის მედმა ვუღვივას შეადგენს, ამ ბოლოს წარმოდგენაზედ აქ-აქ ლოყებში და კრესლოებში გამოხნდენ ჩვენი მან-დილოხსები კავალერებითურთ. მოგილოცნათო, კეთილი იყოს თქვენი იყესი, ბატონებო და ქალბატონებო! არ ვიცი სსკება რას ჭკამნებენ და მეკი, მეწმესეთო—უოველთვის, როცა თეატრში შევდივარ, მრცხვენიან და ვსწითლდები ჩვენი საზოგადოების მაგიერ, რომლის აბატის და გულ-გრძობას სსლვარი არს აქვს საზოგადოდ სიმშობლო სქეებისადმი...

27 ღვინობისთვის, კვირა საღამოს, წარმოდგენის კარგად ცნობილი საზოგადოებისაგან სამ-მოქმედებისანი დრამა „ანსენა“ და ერთ-მოქმედებისანი ვოდევილი, რუსულით გადმოკეთებული „დარჩუა და ჰანკისა“. „ანსენა“, როგორც მოგვსხეხებთ, ბ. მოხსუბარძის გაღმს ეკუთვნის, რომელმაც ძირელ ცოტა სანში მოისკვება სახელი ნიჭიერის ბელეტრისტიკისა მოთხრობების წერით მთიულების და მოხვევა ცხოვრებისად. დრამისათვის ბ. მოხსუბარძემ მართლად და სინტერესო სს-განს მიაგნო, მაგრამ მოთხრობების ნიჭიერი მწერალი მეტად უღაზათო დრამატურად გამოდგა. შეიძლება სშირად ავტორმა ისტორიული სანამდვილე შესწიროს სტენის და დრამატული ხელოვნების ვიუტ მოთხრო-

ანილებას, მაგრამ ამ შემთხვევაში სავალალო ის არის, რომ არც ისტორიული სინამდვილეა დაცული და სტენიური და დრამატიულის სელოკების კანონებიც უარყოფილია, ე. ი. მოხსუბარძის არსენა არც იმ არსენას ჰგავს, როგორც გამოხატულია ხალხის სსოკანში და სელოკებითი კრიტიკის (художественная критика) მოთხოვნილებასაც ვერ აკმაყოფილებს, როგორც დრამატიული ქმნილება, ამის მიზეზი, ჩემის ფიქრით, ის უნდა იყოს, რომ ბ. მოხსუბარძის დრამა არსენას ცსოკრებიდამ გამოჰქრიალა წინადადებას ანაზად, ტენდენციასკედ. ისრე არაფერი არ ახდენს, ე. ი. აფუტებს შთაბეჭდილებას, როგორც მოძღვრება და წნეობითი სენტიმენტების მანტასავით სრულა სენიდაძე. უფრობ ამ სახელ-განთქმულს უნდად არსენას და შენ გულში ამბობ: აფიუს, რომ ეს ტყეში თულაობის მაგიერ, ესლა ნეპტუნის კირკაში არა ჭადვობს...“

ადრე ბ. მოხსუბარძის ჩამიხუბული წნეობის მისილებლად და მადეიბლად თ. გარსევან ამჟამის სასლში ვერ ვიღაცა გადინდობილი და უფერული სტუდენტი ჰქვანდა; ესლა იმის მაგიერ დაუფენება მოხუცებული ბიძა გარსევანისა, იორამ ამჟამე. იორამ ამჟამის სტენასკედ გამოყვანილ ავტორს ვითომ ის აწრი უნდა გამოეხატა, რომ მკელი თავადიშვილი უფრო გაცნურად ეპურობოდა თავის ემებს, მინამ ახალი. ეს კარგი, მაგრამ, რუსულად ნათქვამისა არ იყო: «Слишком звонъ, да не знаетъ откуда онъ!»—ეს სწორედ იმას ჰგავს. მართლდა უწინ ბატონთა და ემთა შორის განწობილება სულ სსვა იყო, მინამ იმ დროს, როდესაც არსენა გაყარდა; მაგრამ; ეს მამან იყო, როდესაც საქართველოს საზოგადობრავ წეობილებას უცხო ცივილიზაციის წედ-გავლენა და მოქმედება არ დასტოვბოდა. იორამ ამჟამე სრულიადაც არ ეკუთვნის ჰუბუბობელანის ეპოქას. იორამ მართლდა ბიძა გარსევანისა,—შეიძლება იმისა დაბადებაც ასსოვდეს, მაგრამ ორივენი ერთს სოციალურს ნიადეგედ, ერთსა და იმავე პრინციპებსკედ არიან აღსრულადნი და მათ შორის სიმდგრდის ჩავდება არ შეიძლება. იორამი ვერაფერს უმინახვს გარსევანის, იმიტომ რომ ეს მისა გარსრდილა და „ქალიღ და მანისა“ არ იყო:

„შელი რომ წულში ჩავდო, იცოდე არ დასძირავსა, რადგან მის წულით არს მორწეული, ამიტომ არ განწირავსა!“
 გარდა ამისა, „არსენასში“ ზოგიერთი იმისთანა ადგილებია; რომელნიც მხოლოდ მოუფიქრებლობის და წინ დაუსრულებლობის შედეგი უნდა იყოს. მაგ. გარსევანის ცოლი სიდაონია სულ იმაზედ ეჩხუბება მანსა, რომ ჭალაქში ხასკლა დაგვიგინდა და მერე მოქმედებაში კი თავადი გარსევანი უნდა ამეკვირებს. რომელი სოფლის თავადი შვილი—ან ვარსნცივის დროს, ან მის შემდეგ,

ჩამოდიოდა სოლმე მკის დროს, სიცხე-მანარაქებაში თბილისში? ნუ დაივიწყებთ, რომ მოქმედება სწარმოებს უაზიბეგში კი არა, სხადც ეჩხუბისთვის გასულს ნამგალი ძლივს შედის უნაში, არამედ საზარათიანობში, სხადც თიბათვის დამდეგსკე ჭობუნას გუგუნი დგას. მართალია, ზოგიერთი გენიუმი ძლიან დაუჩინებელი ბრძანდებიან სოლმე, მაგრამ სიდაონია ისეთი სულელი არ არის, რომ თიბათეში ჭალაქში გამოარბადეს და ამბობდეს სულ ეველანი „ხალაგდენო“, როდესაც კარგად იცის, რომ იმ დროს აქედამ ეველანი სოფელში გარბიან. ერთი შენიშვნა კიდევ. ჩემის ფიქრით, არა ფერი ვაუკარობს არ არის არსენას მხრით, რომ თავის ამხანაგით, ფესკედ შემოყენებული თოფით უსვლეს ერთს ჭალაქელს სირაჯს და სტარცევს. უფრო ეკვირბინებოდა; რომ ავტორს ათიოდე სირაჯი გამოეყვანს და ტყეში არსენა შეესვდრებინა.

ესლა ორიოდე სიტყვა ვსთქვათ თვით მოთამაშებულად. არსენას როდეს აღსრულებდა თვით ავტორი, ბ. მოხსევე. ამის თამაშობასკედ არა გვეთქმისრა იმიტომ კი არა, რომ სათქმელი არაფერი გვეჩინდეს, იმიტომ რომ „ზოგიერ თქმითაც დაშვებისა“. ჩვენ ვიცით, რომ ბ. მოხსევეს სტენა უყვანს ისრე, როგორც ოცის წლის შევერბულს ემაწვილს ჭალი. მისა ბელებტრისტული ნიჭის მატეგ-საგმლად იყოს და ივლას სურვილი; ზვენ კი მოთმინების მეტი არაფერი დაგვრჩენია. ბ. მამიძე სირაჯის როლში, როგორც ვოკალთვის ვაჭრის როლში, უწერო და შეუდარებელი იყო. გოგონანოს როდეს აღსრულებდა გ.--ბ. საფაროვისა, ავტორის აწრით, როდესაც არსენას ბეჭებს ბიძასან დასცემენ, ნინო უნდა ჭეუზედ უნდა შესცდეს და ტირილის მაგიერ, უნდა ხარხარა დაიწიოს. ხარხარის მაგიერ გ--ბ. საფაროვისამ ერთი დაიკვლა, წამოსტა და გასეშებულავით დარჩა. იმ ბოზის, რომელიც საფაროვის ჭაღმა მიიღო, უფრო მეტი ეგექტი ჰქონდა და ფსიხოლოგიურ სინამდვილესთანაც ახლოა. არ შეიძლება უურადლება არ მივაჭცით ზოგიერთს ახლს აქტიობებს, რომელნიც სინიდაონიად აღსრულებდენ თავიანთ როლებს. ორივე მიზეზი ტარიელაგები მეტის მეტად რიგანად თამაშობენ გლეს-კაცების როლებს. ხმა, მისერამოსუნა ნამდვილი გლეს-კაცური აქეთ და კარგს შთაბეჭდილებას ახდენენ მუფრებელსკედ. უკეთესი მოურავი და არსენას ნათლიმამა ვერ არა უოფილა ქართულს სტენასკედ, როგორც იყო უფროსი ტარიელავი. ბ. ი. ცხარელი იორამ ამჟამის როლში კარგი დარბაისილი თავადიშვილი იყო. ბ. მასკიიძე თავის უსკრსული თამაშობით და როდეს უცოდინარობით ნსამბლს აფუტებს. „არსენას“ შემდეგ წარმოადგინეს ერთ-მოქმედებიანი

ვოდველი „დაჩეა და ზანკისა“. ზანკეს სანდუბი კინ-
ტოს სასუელია, ეს ან ვიცი, შინაარსითაც მეტის-მეტი
ქარაფეშუტა რამ არის ეს ვოდველი, მაგრამ ქ—ბ. ს-
ფაროკის თანაშობამ, ახალგაზდა, ცქრიალას ქალის როლი-
ში, ალტრებში მოიყვანა და ესტრეტიურად დაატკბო
მეურებელნი. მოსამსახურე დედა-კაცის როლში კარგი

იყო ქ.—ბ. გიორგობიანის მშვენივრად აღასრულეს
ეს გოგოლის „რევიზორში“ უნტერ-აფიცერმა ზომლი-
აშვიანს როლს. სასოგადოდ არავე შეესებმა კარვად
საიარეს.

დავით სოსლანი.



ვ ა რ დ ი

„რა ვარდმან თვისი ყვაილი გახმოს, დაამჭანაროს,
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა.“

რუთველი.

ჩემის სახლის წინ მქონდა ბაღის უცხოთ მორთული,
ტურფა, კველური, ყვავილთ სავსე, სესილით რგული;
შეგ წყაროები უღარდელად კასკასით რბოდენ,
ყვავილთა რწყევდენ, იცინოდენ, უბსერულს მიზნოდენ.

ფერად ყვავილთგან გამოკრეფილს საამო სუნსა
მაცნოვლებულად ტკბილი სიო ჭფენდა არესა;
სმა განუწყვეტლად, ვარდთ მიფურჩი, სტენდა ბუღბუღი
და უცხო სმებით იყო მიდამო დატყვევებული!...

უცხო რამ იყო! — კაქშანთა გაგვიჩარებდა...
მაგრამ მათ შორის ვარდი ერთი მეტად მიყვარდა:
სულ სსკა რამ იყო: სსკებზედ ნახი, კველური სსკებზედ. —
ტოლი ან ჭყვანდა მშვენიერსა მთელ ჭყვეანაზედ!

ხზნდა რომ მეზღეს იგი ვარდი სსკათა უფროსად,
ბრძანებულად იქ დაენიშნა და შედ-მხედველად...
იდგა ამაყად, ირსეოდა, ამპარტავნობდა,
დიმილს ისროდა, სუნსა ჭფენდა და კასკასებდა!....

ვაფრინდენ დრონი... ერთსულ სანდრო გახარებული
მეცა! საამით საშინელად უძგერდა გული.

„შესდე ბაბუ! შენი ვარდი როგორ დამჭანარა,
აღარც ფერი აქვს, აღარც სუნი, კიარწხედ მიმსმარა.“


ემას მეციერად იმავე კიარწხედ მშვენიერება
გუგური უცხო ფოთლიანი გამოხენილა!
გიშ, მისარინ! — ეს გუგური ჩემი იქნება!
ოხ, მიფეთქს გული! — გულიც მეტად გახარებული!...»

ამ სიტყვებითა სანდრო გულზედ ჩამეკრა გრძობით,
სამეკრ მაკოცა, თვით გუგურმა, ჭაღარა თავზედ...
ცრემლისი მომადგენ!... და მოსუტმან ტირილის სმებით
უთსარ პასუსად და ცრემლები ვაფრქვიე მსრებზედ!

„ჭო, გენაცვალე!... ჩემი ვარდი უკვე დამჭანარა,
აღარც ფერი აქვს, აღარც სუნი — კიარწხედ მიმსმარა!
ჭო, იმ გუგური, გარდუშლელი, ბაბუ, შენია,
აწ ტრფიალება ვარდებისა შენ დაგზინია!...“

— ედეს ერთი ხარობს, ხვალ მეორე გარდაიშლება,
ის დამშვენიებს დროებითად უცხო წალკოტსა,
მაგრამ ოხ! ისიც, ვით რომ სსკანი მალე დასკვნება,
და სსკა დაიჭკნს ამ წალკოტში მაგივრობას!...“

ბ. თირელი.



ფელტონი

მ უ რ ა დ ა ი თ ხ ო ვ ა ნ ს .

თ ა ვ ი IV*

(შემდეგი*)

დედინაცვალი—თვალში ნაცარი.

დიდი, ძალიან დიდი და გაუვალი ჭალაა. დიდრონ და სშირ ფოთლოვან ბურუნებს და მუხებს ერთმანერთისთვის მძურად გადაუსწევიათ ტოტები. ზატარმალსავით მოართულს შვინდს და ზანტას დაუკიდნიათ ტოტები მეტის-მეტი მსსმოიარობისაგან. აქა-იქ სეებ შუა ისარივით ამართულა ლბილი ივნი, რომლისთვისაც ქოლგასავით გადმოუსურნავს თავისი ტოტები ამაყად მალა წასულს შავს, ან თეთრს რცხილას. შიგადა-შიგ ჭალაში მოჩანან ან სულ მთლად გამსმარი ტიტველა სეები, ან მუსა და მურყანი, რომელთაც, მიუსედავად იმისა, რომ თითქმის მთლად გამომწვარი აქეთ მირი ცეცხლით, მაინც განივრად გაუშვიათ მწვანე სქელი ტოტები. საამოდ გადმოსჩქეფენ ზატარა ფშები მათში ჩაცვიფრულ გამსმარ ტოტებსედ და დინჯად ატოკებენ თითქოს დაღონებულნი ტირიფის ჩაკიდებულს გრძელ და ლბილს ტოტებს. სანდის-სან ცელქურად გაუზბენს სოლმე სეებს ნიაგი და არღვევს ჭალის მეურნობას: ფოთლის შრიალი და მოტეხილი ზატარა ტოტების ლაწა-ლაწი არის ამისი შედეგი. ჩუმიდება მძინ ეოველი ფრინველი, მარტო სე-კაკუნა არა სტოკებს თავის კაკუნს და იმის ერთ-გვარი კაკუნი მოავგონებს კაცს შორიდან გაცონილს ცულის ცემას....

ამ ჭალაში გაცონებულა სეებ ქვეშ გიგუა

*) იხილე „თეატრი“ № 10.

და ეს მას ძალიან უკვირს, უკვირს იმიტომ, რომ იმას არ ანსოვს, თუ როდის მოვიდა აქ, მაგრამ ბევრი მაინც არ უფიქრნია იმას ამაზედ. აი იმან დაინახა, რომ ყველასედ ძალდასუს ერთ ტოტსედ ვაშლი აბია.

— „საკვირველია, ღმერთმანი, ჭფიქრობს გიგუა, ეს სე ვაშლის სე კი არ არის და ამას რათ აბია ეს ვაშლი? აბა ერთი ავიდე ვნასო“, იმასის ის და ადის კიდეც. მერმე რა საკვირვლად ადვილი იყო მასსედ ასვლა: სადაც კი ფეხის დასადგმელი მოუნდებოდა სოლმე, იქ მაშინვე ჩნდებოდა ის. აი ის ავიდა ძალიან მალა, სედ ხის კენწეროსედ მოექცა. შესედა ვაშლს—ვაშლი თეთრი იყო; ზატარა სანს უკან ის გაწითლდა.

— „რა კარგია ამის მოწვევება“ გაიფიქრა გიგუამ და გადავიდა კიდეც ტოტსედ. ტოტი დაისარა იმის სიმძიმისაგან.

— „უ...უ...უ... ჩავარდები!...“ სთქვა იმან და ჩაისედა ქვევით. ქვევით ჩასედავამ უფრო მან შეაშინა: სად იყო ის მშვენიერი ბალასი, ის მშვენივრად მოჩანსქარე ფშა, რომელიც ამ ხის ქვეშ მოდიოდა?!

მათ ნაცვლად იმან დაინახა საშინელი უფსკრული, რომელსედაც გადაუდულიყო ვაშლიანი სე, თითქოს ჩავარდნას აპირებსო უფსკრულს შავად და ღრიალით მომდინარე წვალში. გიგუა გაფითრდა შიშისაგან და დანიწია უკან. იმისი სურვი შეესალა ხეს. სე ფუტუროსავით გადაიმტვრა და ჩავარდა უფსკრულში. ის უფრო მაგრად მოეჭიდა ტოტს; მაგრამ აი ის ძალიან კარგათ ჭკრძნობს, რომ სურგში მას ვილაც აწვება და თანაც ანიშნებს, მოწვეიტოს ვაშლი. გიგუა, რასაკვირველია, არა ჭმორჩილდება, რადგანაც იცის, რომ ვაშლადის რომ მივიდეს, ტოტი ჩაუტედება; მაგრამ ის მაშინვე სიამოვნებით ამწევეს, რომ ამას ურ-

ჩვეს თავისი საუფარგლო მიცვალებული დედა.

— „მოწვევით, შეილო, ეს სე ჩემი დარგულია და ამ ვაძლს შენის მეტს არავის მივცემ“, ეუბნება დედა.

გიგუა მიცოცავს ტოტსედ. აი იმან გააწვდინა კიდევ სელი ვაძლისავენ, მაგრამ ტოტი უცხად მოსტედა და ის (გიგუა) ტყვიასავით წავიდა ძირს. გიგუამ ერთი კიდევ მოასწრო აესედნა მალა და იმის გაკვირვებას არა ჭქონდა სამხლვარი, როდესაც დაინახა, რომ სესედ იღვა იმისი დედინაცვალი. მას გული აუდუღდა ჯავრით და დაიწყო კულ-ამოსკენით ტირილი.

— „ო...ო... შენ მარიაში ჭყოფილხარ? შენ იმიტომ მიილე დედი-ჩემის სასე, რომ ჩემი დაღუპვა გინდოდა? კარგი, მაგრამ ღმერთი არ შეკარჩენს“...

— მოკვდი! გაჭკივის სმა მალევი უსირცხვილო დედინაცვალი, — მოკვდი! გიგუა ჩავარდა ძირს, დაეცა წელის ჰირსედ. რაღა თქმა უნდა რომ იმ სიმაღლიდან ჩამოვარდნილი ბავუვი კვდარვიით ეგღო.

მაგრამ ჰატარა ხანს შემდეგ გიგუა თითქოს ჭკრმნობს, რომ გონსედ მოდის.

— „რაქნა, რამ დამისნა“ იმასის ის, და ხედავს, რომ ის რაღაცა ტეაზსედ დაცემულა რბილად, ვერ არის ტეაზი კარგი, მაგრამ რა რბილია და?! — თითქოს დომაკიაო.

— „ახ, ეს სომ მურხას ტეაზია! კულ-განეთქილი წამომასა ვასიკომ და მოავონდა კიდევ თავისი ძმაბუი: იმას გამოკვდია.

— „ო, ეს სისმარი იყო,“ სიამოვნებით წამომასა გიგუამ, როდესაც კვლავ დაინახა, რომ ამისი მურხა ისევ იმის გვერდით იწვა. იმან მიისედ-მოისედა. ჰირველი განთიადი იყო. ცოტათი შენათებულიყო ცა და აღმოსავლეთისკენ ცისკარს ღუ-ღუი გაჭქონდა ცის

სივრცეში. ცუდი სისმრით დაქანცულმა გიგუამ წახურა საბანი, მოიქცია კედლისკენ მურხა, რომ ის ვერას გვით ვერ გამოკვლიჯათ მისთვის სელიდამ და წავიდა ღრმა დილის მილში. დილის რვა საათი იქნებოდა, როდესაც გიგუას მეორედ გამოკვდია. მისი მისამზიდებელი ჭიმი გათავებული ჭქონდათ ფრინველებს. მიერთებული იყო სოფელი, მსოლოდ ცაში ნავარდობდენ მერცხლები, რომლებიც ხან-და-ხან კიჟინით მთელი გუნდნი სდევენ სამოვარსედ გამოსულს მიმინოს.

ჰირველ გამოკვდიაბსედვე გიგუამ. გადაჭსედა მურხა და ნახა, რომ ის იქ არ იყო. ის შევიდა შინ — შინაც არავინ დასვდა. არც მარიაში, არც გოგია შინ არ იყენენ.

ი. რევიშვილი.

(შემდეგი იქნება)

გიგლიოზარაჟიული ვანიშნა

3ასაც ჯერ შეშის და სახამთრო ტანისამოსის თადარიგი არ გაუწვია, მისარება, ჯერ ნუ შეწესდება, ამიტომ რომ უთუთ წრეულს კარგს ზამთარს უნდა მოკვლოდეთ. ამისი უტეუარი ნიშანი, სომსების გაღენდარმა გი არა, დღეს ჩვენ ეოკლად დარბასიელმა და ეოკლად ჰატეგემულმა „ივერიაში“ მოგცა; როგორ დირს შესანიშნავი არ არის, სექტემბრის, ნომერი 28-ს ღვინობისთვისას გამოვიდა! ეს გარემოება თვით დარბასიელ რედაქციას ისე გატაცებია, რომ უურნალის ჰირველ ფურცელსედ ცალკე გამოუცხადებია საუფკვლათო საცნობელად. დიდაც, რომ ეს ისეთი იშვიათი მოკლეჩაა, რომ ერთი კუდიანი ვარსკვლავის გამოჩენა თუ შეედრება.

უკანასკნელს სამს ნომერში მოქცეულს მანებით საუნჯესედ ჩვენ ცალკე ამ ცოტას ხანში მოვილანარაკებთ. ესლა მსოლოდ ორიოდ გომნობით სასე სიტყვას ვუმდგნით უკანასკნელის ნომრის „შინაურ მიმოსილვას“. ნაცარქქია აკტორი შინაურის მიმოსილვის თავს ივარკაცეს თავის შეითსეულებთან, წუწუნებს და არწმუნებს მათ: „მე კი მართლა ესრეთი საცოდავი და საწყარი სუ გგონივართ მართლაო. „მე თეწი ვარ და ჰირი

წელითა მჭკს სჯეს, თორემ ჩემი კლმის მსკერ-მე-
ტველომ მთელს ჭკეყანას წაღვევსო!.. მე

„ლომი ვარ ჭანგში ჩაბული,
უომრად სულ შეპერობილი!..“

თორემ მთელს ჭკეყანას გადავბარებდიო და სს.“
ძალეუნებურად მავანდებოდა მოლა-მასრადინას ამბავი:
რუსულ რომ გადასტა და შიგ ჩავარდა „ვაი, შე ჩემო
სიბერეცნეო“ დაიძახა ხმა ძალდა; როდესაც მიხედ-მოხიე-
და და ახლო არა ვის იყო, თავისთვის წაიბუტბუტა:
„ეი, არცა-რა სიემაწვილეში ვიყავი და არცა-რა თქვენი
ესლა ვარა“. ამის შემდეგ, შინაურის მამონილვის სჯ-
ნად აუღია დიდის მთავრის მისიელ ნიკოლოზის-მის
და მათი უწმინდესობის, სომხების ჰატრანისის, მაკა-
რის, მობრძანება თბილისში. თითქოს მართლაც სხვა
აღარა თქვენი შეიძლება დასა? მაგრამ ეს მო-
ლოდ ფაზი გასლავთ, რომლისთვისაც ამოუფრებია
ავტორს საკუთარის გულის ბოლმა და ვაჟა. ახალი
დროის, ძაძა მოსილი და თავნჯიანანი, იერქიას ჭო-
დებს, რომ ჩვენს ლიტერატურაში ფიზილანსები და
ბაშიბუზუკები შემოცვივდენ, რომელთათვისაც აღარა თქ-
ვი წმინდა არ არის, არც თვისი სწამთ, არც ტომიო,
არც შინაური და არც გარეულიო... თუ ეს ეგვიფიერი
მართალია, მას მკორეთ მოსკლავ მოახლოებულა და
შეიძლება ანტი-ჭრისტი კიდევ ჩამოსულიყვეს წიწმურის
ვიწროებში!.. მაგრამ, რა თქვენი საჯადრისია, ბატონე-
ბო, ეს ქალახურთი წუწუნი, მკითხველ საზოგადოება-
სთან თავის შებრლება და მათ წინაშე დაბეჭდება თქვე-
ნის ლიტერატურული მკტაქებისა? ფიზილანსების შე-
მოსკვას ლიტერატურაში? ეს სომ ამასა ჭკავს: ჩემი არ
გითისრა—გული რით დაგწავა? რისთვის უარ-ჭყოფთ,
ლიტერატურულს ფიზილანსობას, თუ ნამდვილად გეს-
მით ამ ტრამინის მნიშვნელობა, რომელიც თქვენი შო-
ბილია და თქვენის მყოფი აღსრდილი? რომლის მამა,
თვით წმინდა ჭაბაში ნაკურთხი და მჭადებელი თქვენი
მოთავეა და წინამძღვარი?..

რაც შეეხება ლიტერატურულს ბაშიბუზუკობას,
დაიდა, ბაშიბუზუკები შემოცვივდენ, თუ ბაშიბუზუკებად
უწოდებთ იმ მცირე რაზმს ახალგაზდა მწერლებისას,
რომელიც ჭკმობს თქვენს ორ-პირობას, სიზარმაცეს,
თქვენს „წამსდარ გმირობას“, საყვარელი მამულის და
საზოგადო ინტერესების სასულით ჰირადი ანჯარიშების
დეგანს, თქვენს სიყალბეს, სიცრუეს და გონების სი-
ხლურებს...

დავით სოსლანა.

ადმონიქული აზრები ჭეინესი, ხელოვნების შესახებ.

ხელოვნება

როგორათაც ხელოვნებაში, აგრეთვე სამყაროში
მიხსნება არ არის, მოლოდ კაცი ჭეინესის თავის მც-
რედს გონიერების მიხსნებს და საშუალებებს. ხელოვნე-
ბა ხალხის დროებითი შესედელობებისგან განთავისუ-
ფლებული უნდა იყოს, რადგანაც დედამიწის ზურგზედ,
ყოველს ჟამს ხალხისგან იცვლება, როდესაც სხვა-და-
სხვა რაჟელის ერთად შეგაკშირება ხდება. ხელოვნური
მეტნიერებანი, რომელნიც ეროს მსარესედ ზნეობრივით
ირიდნვიან, მეორე მხარეს უსწიოთა სასკენ. ჩვენი გ-
მანთლებული ხელოვნება, უქედარს მუსულმანებს, სარის-
ლათ მანხიათ და აგრეთვე ჩვენ იმითი; თუმცა კი ამ-
ხელოვნებას იმითი შირველი ფაზთა ადგილი უყავა.
(3.148).

ხელოვნებაში სუველიფიერი ფორმა; შინაჩრისი კი
არაფერი. შტაუბი იმავე ფულეს იღებს სერტუგმა, როცა
მუდს აძლევენ და იმ შემთხვევაშიაც როცა თავასს ახ-
მაჭებს. (8.189).

ხმები და სიტყვები, კჩასკები და ფორმები, საე-
თით უველს მოკლენანი—მოლოდ იდეის სიმკოლეები
არაინ, ის სიმკოლეები, რომელნიც სულით ამძლვებენ
მსატკარსა, როდესაც იგი წმინდას სამყაროს სულით
აღლვებულა. უოველივე ხელოვნური თსუხულებანი
მოლოდ იმის სიმკოლეები არაინ; რადგანაც ამ საშუალე-
ბის ძალით, იგი ანობს სხვას, რომელნიც სულით
შეგაკშირებულნი არაინ, იმის იდეებთან. დიდი და წა-
წინებული მსატკარი, ის არის, რომელიც მცირედის და
უბრალოს სიმკოლის საშუალებით ბერს და დიდს მნი-
შენილანს ამბობს. (ტბელი სიტყვა მოკლედ ითქმის შა-
ინია ამით გარგი. შ. რ.). (6. 128).

როდესაც კარობრივობა სულით მძლვება, ხელოვნობაც
იმას მისდექს და წარმატებაში შედის, ესე იგი, მკლავ და
მკლავ გადასეუენი ერთი თანა-მოგზაურნი არაინ. მკელ
დროს ხელოვნებაში, არსიტეკტურას შირველი ადგილი
ეჭირა, მოლოდ ეკვიბტულებს ემხნედათ შეუენებელი
და ამუური შირამიდების ამართ დიდება; ბერძნებმა ჩანდაგობა
(სეულბტურა) დაჭადაეს, სოფრი სულს ემონილება და
როდესაც იგი ამძლვებაში შედის (სუწლი) სრულად კა-
ცობრიობასა სცვლის, მაშინ კაცს სრულიად სხვა-და-
სხვა მოთხო გნილებანი ეჭვს, იბადებდა: სიშხარსული... და
ამას თან მოსდექს აღმამძლვებელი გულის მღვლავრება.
ხმებაში ამ სოფლიური ჭკეყანა გამოხატული. მუსიკა
უკანასკნელი სიტყვა ხელოვნებისა, როგორათაც სიკე-
დილი უკანასკნელი სიტყვა სიცოცხლისა. (6.265).

მსტრობითი თსუხულებას იღვია გმონობიერები-

დგან იბადება და განსასორცელებლად შეკლას ტანტა-
ზისაგან ითხოვს. ტანტაზის მიტეების უმადსვე ისეთის
მრავალის შეფერილის სმულელებით სვდება, რომ იდე-
იას ის სრულიად გამტკვრება, თუ დაკოჭლებული გონება
არ შესკვდროდა და არ განითავისუფლებინა. გონება—
სელაგნებაში ზოლიცაა. (6.262).

ივ. ჯაჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება)

სუთის წლის „ივერიის“ ნომრები, ვინც „დრამატი-
კულს საზოგადოებას“ იზოვის!!

„დრამატიული საზოგადოება დაგვიკარგავს

ნომ არ გინახვთ, ლოთებო!
ან ავლილი, ან ჩავლილი
ნომ არ გინახვთ, ლოთებო?!

ვირბის ომის შემდეგ, ქუთაისის გუბერნიასში
რამდენიმე ათასი იუთი ჯარისთვის მომსადებელი ზრ-
ვიანტი დაიკარგა, ჩაიღაპა. როდესაც ინტენდანტებს
ზანსუნი მოსთხოვეს სასტიკად, მათ, „სრულიად როსიის“
გასაოცრად, მოასსენეს მთავრობას, რომ ზური ჭკერში,
გაფრინდაო. რასაკერაა, ამ მოვლენამ ყველა გააკვირვა,
მაცრამ, როდესაც გამოიძიეს, აღმოჩნდა რომ რიონის ღე-
ლეზედ თურმე მარცვლად შენასული ზური სშირად გა-
ფრინდება სოღმე. ესაა სიამოვნებით ვაცხადებთ, რომ
იმერლებს ჩვენ ვაკობეთ და თუ იმთ სომრბალი გაუფრინ-
დებათ სოღმე, ჩვენ მთელი დრამატიული საზოგადოება:
თვისი თავ-მკვდომით, მისი თანაშემწით, წევრებით, სე-
კრეტით, თვისი წესდებით და თატრის მთელი გარდე-
რობით გაგვიფრინდა! ანა სწორეთ ჩვენს ქვეყანაზედ
ამოაბს ზუშკინი:

„Тамъ чюдеса, тамъ лѣшіи бродить,—
Русалка на вѣтвяхъ сидитъ!“

ეს ყველაფერი კარგი და ზეტიოსანია. დრამატიუ-
ლის საზოგადოების გაფრენას ცის სივრცეში, თუ ქვე-
სკნელის, ანუ გარესსკნელის ჯურღმულში, მანისც და მა-
ინც ისრე მადიან არ ვიწუხებთ და შევეს არ შევი-
მხსავთ,—ნეტკვი მსოფლად ჩვენის თეატრის, ათასი წკა
და დგვით, შეძინებული გარდეობი თან არ წაეღოთ;
თორემ უიმისოდაც მატრიალურად შევიწროებული დრ-
მატიული დასი ყოველ თვეს მარტო ტანისამოსების
ჭირას 10-12 მანეთს იხდის.

დასასრულ კიდევ ვიმეორებთ, რომ ვინც დრამა-
ტიულ საზოგადოებას იზოვის, ჩვენს რედაქციაში სა-
ჩუქრად მიიღებს მთელის სუთის წლის „ივერიის“,
ნომრებს. ნაშნები საზოგადოებისა: შუა ტანისა,

შუათანა სისრულისა. მარდი და კულ-ვარდა. ზანტი
და მინარი. საქმეში სისწრაფე ჭკვს კუსი, ენერგია ლო-
ქოსი და სს.

„თეატრის“ კორექსორდენცია

ფოთი. ღვინობისთვის 24-ს. დრამატიული სე-
ლობის მოყვარებებს გამართეს წარმოდგენა
ფოთის კლუბის სცენაზედ. წარმოდგენეს ს.
ანტონოვის სამ-მოქმედებიანი კომედია „მისი
დანელება“ და ა. ცაგარლის ფარსი „ბაი-
ეუმი“. წარმოდგენა გამართული იყო, „წერა-
კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სა-
სარგებლოთ. წარმოდგენას ცუდად არ ჩაუვლია,
მოთამაშენი ჩინებულად ასრულებდენ თავიანთ
როლებს და განსაკუთრებით ქალ. ელ. სტ.
პოპუა, კ. მ. და ს. მ. დამსწრე საზოგადოება
დიდად მადრიელი დარჩა და ზირველ მათგანს,
ზემოსწინებულ ზირებში, მიართვა მშვენიერი
თავიგული და სანგმლოვის ტაძის კვრით გა-
მოუცხადა თავის სიამოვნება.

წარმომდგენელებს ეგონათ, რომ რა-კი დიდი
სანი გავიდა რაც აქ ქართული წარმოდგენა არ
გამართულა—ბევრი სალსი დაესწრებოდა, მა-
გრამ იმედმა უმტეუნა და სალსი ცოტა დაე-
სწრო.

ფოთის საზოგადოება ეოველთვის გულ-
გრილად უცქერის ამისთანა კეთილ საქმეებს;
სემის ჭასრით, როცა აქ ქართული წარმოდგე-
ნები იმართება სოღმე და ისიც რომელიმე კე-
თილი მისნის ადსასრულებლათ, ამორჩეულმა
ზირებმა უნდა იკისრონ ბილეტიბის დასადება
(ამის ადსრულება უფრო ქალებს შეუძლიანთ),
თორემ ისე არ მიდიან დრამატიულ წარმოდგე-
ნებს.

აქაური სასოგადოება დიდის თავის მტკრუ-
ვით მიდის ვინ იცის საიღამ მოთრეულ ფოკუ-
სნიკის ჰამპულობასედ და თეატრს კი, ამ სა-
საღსო სკოლას, ეგრე რიგათ ვერ ეწეობა.

ბ. ბ.

ნ ა რ ე ვ ი

როდის არის კაცი უბედური?

როცა ბედის ღიმილს მასი ჰხედავ,
რომ „თავადი“ დაგიძახონ
და არ ხალულობ, სიტუდისთვის
გინდ დაგტომნ და გინდ გიძახონ.

როცა გონით ზანტი უფსო კალმით
ველარც სჭრი და ველარც ტყვიტობ,
არ კარგისარ მწერლად, მაცრამ
მაინც ისევ უბედისიტობ.

როცა ვერ ცხოვრების უმეცარი
გვლავ შენდომას მრავალს ელი,
ბელის დეგას ბოროტთაგან,
ბელის სეგდა და ხალკელი.

როცა გონით ნორჩი მიიმე საქმეს
უფიქრელად ქედზე იდებ,
და რის ზიდვაც არ გიძლია,
იმ გვარ საგანს ხელსა ჰკიდებ.

როცა ენა შენდა უნებურად
გიმუნჯდება და გებმება,
შენსას სხვას ვერ ატეხინებ,
არც შენ სხვისი გატეგება.

ზინ — დარ.

(შემდეგი იქნება)

სწოპაპი ძაველის

„საქაროველთს გახეთიღამ“

ნომბრის 6 დღესა, ჩეით წელსა თფილისში.

ნო. 36.

გამოცხადებანი *).

ცნობანი ემაწვილთ ბუნებითის ევაკილისათვის და
აჭრილის ძროხის ევაკილისათვის.

ეჭიში ამტრელნი ევაკილისანი ამტკიცებენ, რომ
ძროხის ევაკილი უფრო საშიში არის, ვიდრე ბუნებითი
ემაწვილთ ევაკილი და ამ სენით ყრმანი ისტეგებან უფ-
რო ძვირად, ვიდრელა ძროხის აჭრილის ევაკილითა.
სხვანი არწმუნებენ, რომელ თუძტადა იქმსეიან მსგავს-
ნი შემთხვევანი, გარნა ისინი ფირად იშვათანი არიან.

ერთი მკურნალი, რომლისაცა ჰაზრი ჯერა არს
კიდე მიღებული — იტყვის, რომელ ყრმათა, რომელთაცა
ჰქონიესთ ბუნებითი ემაწვილთ ევაკილი, არ ყოფილა
მაგალითი შექმროდეთ ძროხისა. გარნა, რომელთაცა
ჰქონიესთ ევაკილი ძროხისა ვიდრელა უწინარეს რვისა
წლისა, შექმრიათ ჩვეულებრივი ემაწვილთ ევაკილი და
დასჭირებიათ ხანგრძლივი ეჭიმობა და მარადის მოქ-
ცემა.

ეს სენი ეკრობიულთ მკურნალთ რიგინად შეუს-
წავლიათ და შესასებ ამისა მკურნალიცა უფალი მონ-
როცა ჰტონებს, რომელ მრავალთა მათ, რომელთაცა
ჰტონიათ აჭრილი ევაკილი ძროხისა, მიუღიათ ადვილად
ბუნებითიცა ევაკილი. მიზუნად ამისა ჰტონებს იგი, რომ-
ელ არს გულმოდგინება, რომლითაცა აუტრიათ ევა-
ვილსა ძროხისასა, მოიქცევიან ყოველსა შინა განგრძო-
ბასა სხეულებისასა. აჭრა ირაცხების ფირად ადვილ სა-
ქმედ, და ყოველი გზა არს ჰვლყოფად მისა, სოლო
შორის მისა თვით მკურნალთა არა დამცველთა სხეუ-
ლების წარმოებისათა, არა ძალუქით დარწმუნებულ ყო-
ფად, ნამდვილ გამოჩენილ არსა ძროხის ევაკილი? გარ-
ნა ყოველთა დაცვათა მიერ დამტკიცდების, რომელი
კაცნი, რომელნიცა შემდგომად ძროხის ევაკილისა მიი-
ღებენ ჩვეულებითსა ევაკილსა ისდიან მას თვინიერ ყო-
ვლისა საშიშროებისა.

დიდ ფირად საამოდ წარსავითხარს წიგნი, რომ-
ლისკანცა მოღებულ არიან წინადადებულნი აქა შენი-
შენანი, იგი იმერობს თვის შორ მრავალთა კმაყოფი-
ლებით გამოსამიებელთა ცნობათა ვიდრელა კანთა თვის-



ბ. ბ. ბ.

ლ. მ. მ.

ბ. ბ. ბ. მ. მ. მ.

ც უმცროს. ჩვენ მხოლოდ წინადაცხადებთ უკანას-
კსელს ჯანს უფლის მონათს შესიშვისაგან.

აქ იგულისხმების წიგნი უფლის მონათსი სსკა-
და-სსკათა დაცვათაივის ეოველთა გვართა ევაილისათა
და უმეტესად მისი, რომელიცა იქსესის შემდგომად
ძროხის ვვაილისა.

შემლილი სიევაწრულისგან *)

დ რ ა მ ა ხ უ თ ს ა ქ ტ ა დ

თხზულება ღონ მანუელ ტამაისი და ბაუსისა.

მომკმენი პირნი:

- დედოფალი ღონა ხუანა.
- აღდარა.
- ღონა მლეირა.
- მეფე ღონ შილიპე.
- ტაპიტანი ღონ ალვარი.
- ადმირალი პასტილიისა.
- ლუდოვიკო მარლიანო.
- ღონ-ხუან მანუელი.
- მარკიზი დე-მილიენა.
- ღონ შილიბერტო დე-მერე.
- მარსი-პერეს, მეტრახტირე.
- ბერნანი.
- პაჟი.
- ტაპიტანი სასახლის გვარდიისა.
- მოსამსახურე გოგო სასტუმროში
- 1) სასახლის მანდილოვნები.
- 2) სასახლის დიდებულნი პირნი.
- 1) ჯორების მდევარნი.
- 2)
- 3)

*) ამ პიესას ისპანიის თანამედროვე დრამატული ლიტე-
რატურაში არ უნდა ეჭიროს უღირსი ადგილი. პირველად იგი
წარმოდგენილ იქმნა მადრიდში, სახელოვანი აქტრისა თეოდორა
ლაპარდიდის ბენეფისში. იმდენად სახელოვანად იყო წარმოდგენი-
ლი, რომ ისპანიის სათეატრო რეპერტუარიდგან არ ირიცხება.
ეს პიესა ბევრს ენაზე არის გადათარგმნილი და რიგიათავც
გამოდის სცენაზე. შესანიშნავა რისტორმა ამ პიესაში იპოვნა
შესაფერი როლი.

ამ პიესის ავტორი, შვილი აქტრისისა და აქტიორის მძა,
ჭაბუკობითვე დაუბლოვდა თეატრის საქმეს და ძალიან ახალგაზდამ
•წყო პიესების წერა. უმთვარესი მისი დრამატული მოქმედება
გაუთენის 50 წელს.

სასახლის მანდილოვნები, გრანდები, პრელა-
ტები, ექიმები, პაეები, სალდათები კასტილიისა,
ფლამანიის სალდათები, ჯორების მდევარნი და მა-
სკით მოკმაზულები.

პირველ აქტში მოქმედება სწარმოებს — ტუ-
დელ-დე-დუეროში, მეორე აქტი — სასტუმროში
ტუდელის ახლო, დანარჩენი აქტები — ქონეცაბლის
სასახლეში ბურტოსში.

1506.

პირველი აქტი.

ღარბასი ტუდელ-დე-დუეროს სსახლეში: მ-
რ უკნო ვარება, მარცხივ ერთს ხაწიდში ფანჯარაა, მეო-
რეში — კარები; სცენის შუა ნაწილშია კარები. სტო-
ლი და დანარჩენი ავეჯულობა ეპოქის შესაბერი უნდა იყოს

ს ც ე ნ ა I.

ადმირალი და ღონ-მანუელი.

ადმირალი. ბატ. ღონ-ხუან-მანუელო, თქვენ
ტყუილათა ცდილობთ დამაჯეროთ მე, რომ დე-
დოფალი ხუანა ჭკუაზე შეიშალა.

ღონ-მანუელი. შევლა ექიმების აზრი გვიმტ-
ცებს ამას.

ადმირალი. მეცნიერებას მე შეუცდომელად
არა ვთვლი.

ღონ-მანუელი. ოხ, რა ძნელია, ადმირალო,
თქვენი დაჯერება. ბანა მისი დიდებულობა გან-
შორდება იმისთანა მშვენიერს და მოსიყვარულე
მეუღლეს, როგორც ხუანაა, რომ ამის ჭკუაზე შე-
შლილობა არ იყვეს დამტკიცებული? მაშ რითი
აეხნად ეს გარემოება — რომ იგი მუდამ ერთი და
იგივე შავი ტანისამოსით არის შებურვილი და არ
იშორებს ამ ტანსაცმელს, მინამ ნაკუწ-ნაკუწად არ
იქცევა? ან კიდევ — დედოფალი რომ იშორებს თა-
ვიდგან ყველა სასახლის მანდილოვნებს და რამდენ-
იმე დღეში თავისთან არავის იკარებს, ხან მარხუ-
ლობს უეცრივ, წვიმაში გამოდის სასიეროდ სასა-
ხლიდგან და ხან-დის-ხან გარეთ შილიპესაც ათვა-
რიელებს ხოლმე... მისი უეცარი ცრემლები, უმი-
ზეზო ჯავრობა, მისი უცნაური ქცევანი, — განა სუ-
ყველა ეს არ გვიმტკიცებს დედოფლის ჭკუაზე შე-
შლილობას?

ადმირალი. სუყველა ეს ამტკიცებს, რომ,
ვინც ბევრს იტანჯება, ის ცოტასა ფიქრობს თავის
თაზე, ამტკიცებს კიდევ იმასაც, რომ ღონ-შილი-
პე პესტრისა უღირსია დედოფალი ხუანას დალი-
ჯისა (Troyes) და ამისთანა მეუღლის სარეცელისა.

ღონ-მანუალი. სასტიკათა სჯით.

აღმირალი. ღონ შილიბე, როგორც სამიჯნუ-რო მანქანებით გატაცებული კაცი ცდილობს გან-თავისუფლდეს ექვიანი მეუღლისაგან და, როგორც პატივის მოყვარე მეფე—ქსტილიის ნამდვილი დე-დოფლისაგან. ნუ თვალთ-მაქცობთ, ღონ მანუელო, რომ მითომ ეს თქვენ არ იცოდეთ. ბეფიცებით ღმერთსა და ჩემს სულსა—რომ მე უფრო მალე მოვისწრაფებ სიცოცხლეს, მინამდისინ ვულაატებ იმ პატივს, რა პატივითაც უნდა იყვნენ აღგზნებულ-ნი სუყველა კასტილიელების გულეები კანონიერი დე-დოფლისადმი.

ღონ-მანუალი. თქვენი და სუყველა თქვენი თანა-მოაზრებების ახირება მიადწევს იქამდისინ, რომ დედოფლის ავად-მყოფობა დღითი-დღე გაძლიერ-დება, მაშინ როდესაც მარტოობა წამლად გადაექ-ცეოდა....

აღმირალი. სხოვრება მეტის მეტად მოსაწყე-ნი იქნებოდა, სუყველა რომ ერთნაირად ფიქრობდეს.

ღონ მანუალი. თქვენ, როგორცა სჩანს, აღ-ბის გერცოგის მომხრეებს უნდა ეკუთვნოდეთ, იმ გერცოგის მომხრეებს, რომლებიც ცდილობენ ხელ-ახლად მიანიჯონ მეფე შერდინაღს დალიჯი მისი ქალისა.

აღმირალი. ჩემი სინიღისის საქმეში ანგარიშს მარტოკა ჩემს თავს ვაძლევ და სხვას არავის. თქვენ კეშმარიტება სთქვით: ისპანიის დალიჯი ეკუთვნის ღონია ხუანას, იზაბელის ქალსა და მემკვიდრეს, და მე ვეცდები რომ ღალატით არ ჩაიგდოს ხელში მისმა მეუღლემ, აესტრიის ერც-გერცოგმა. მისმა თანა-მემამულეებმა საკმარისად აგვიბეს თვალეები. მა-თი სინარბე უფრო ჩვენი მხრის ოქროს ელოლიაე-ბა, მინამ მის კეთილ-დღეობას.

ღონ მანუალი. მაშ რა უნდა უთხრა მის დიდებულებას?

აღმირალი. ჩემი იმედი ნურაფერში გექნება-თქო, თუ ვინიცოზაა შეეხები ჩვენი კანონიერი დედოფლის თავისუფლებასა-თქო.

ღონ მანუალი. ხეცა იყვეს თქვენი მფარველი..

აღმირალი. აგრეთვე თქვენიც.

ღონ მანუალი. (თავისთვის) ღაკარგული დრო! (მიდის).

აღმირალი. (თავისთვის) ტყუილი შრომაა, ღონ ხუან მანუელო!

აღ. ნ—თ—მე.

(შემდეგი აქნება)

თავ. ალექსანდრე გარსევეანის ძე ჭავჭავაძე

(სურათზე)

ალექსანდრე ჭავჭავაძე, ჩინებული ქართველთა მოლექსე, ცოტა არ იყოს თეატრსაც ნათესაობს. მან გადმოთარგმნა ქართულს ენაზე, ლექსათ, რასი-ნის დრამა „ცინა“; რასინისავე—„ფედრი“ და ვოლ-ტერის—„ზაირა“. („ცინა“ იყო დაბეჭდილი ბიორგი მრისთავისაგან ჟურნალს „ცისკარში“ 1853 წელს). ამასთან ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი პირველი სახლი იყო საქართველოში, საცა თბილისის საზო-გადოებამ პირველათ მოისმინა დრამა რუსულს და ქართულს ენაზე. რუსულათ პირველათ აქ გაიცნო თბილისის საზოგადოებამ „ვაი კკუისაგან“ დრამა ზრიბოედოვისა, რომელსაც ბოლოს ჩვენმა პოეტ-მა მიათხოვა თვისი ქალი, ნინო.

თეატრზე უფრო ერთ-გულათ და სარგებლიანათ აღ. ჭავჭავაძე მსახურა ქართულ ლირას. როგორც ლირიულს პოეტს, რომელმანც ჭვალობა ღვინო და სიყვარული, აღ. ჭავჭავაძეს ქართულ მწერლობაში სხვა არა ვინა ჰყავს ბადალი. მისი ლექსთ-კრების პირველი ნაწილი, გამოცემული პეტრე შმიკაშვი-ლისაგან 1881 წელს, შეიცავს 98 ლექსს.

მეორე ნაწილში მოსაქცევი ლექსებიც იკრი-ბება ცოტ-ცოტად სხვა-და-სხვა საქართველოს კუ-თხებდად. ზოგიერთი მათგანი ჟურნალს „ივერიაში“ იყო კიდევ დაბეჭდილი, პირველი ნაწილის გამო-ცემის შემდეგ.

ალექსანდრე ჭავჭავაძე დაიბადა 1786 წელს, ქალაქს პეტერბურგში, საცა მამა მისი გარსევეანი იყო გაგზავნილი ელჩათ მეფე შერკლესაგან. გარ-სევეან ჭავჭავაძე დიდის პატივით იყო მიღებული რუსეთის სასახლეში და ახალ-დაბადებული მისი შეი-ლი მონათლეს ეკატერინე II და დიდმა მთავარმა ალექსანდრემ, შემდეგში ალექსანდრე პირველმა. შმაწვილის აღზრდაზე მამა მისი და ნათლიები დი-დად ზრუნავდენ. სიყმაწვილეშივე პატარა ალექ-სანდრე ლაპარაკობდა ფრანციტულს, ნემეტურს, სპარსულს და რუსულს ენაზე.

პოეტი დიდად ნამსახური იყო სამოქალაქო და სამხედრო ასპარეზზე; ჰქონდა ჩინი ღენერალ-ლეიტანტისა და ბევრი კავალერის ორდენები.

სამსახურში შევიდა ის სასახლის კამერ-პაქათ 1804 წელს; 1812 კახეთის ბუნტის დროს მარკიზ პაულიჩის ბრძანებით ის ამშვიდებდა აჯანყებულებს და ამათთან ბრძოლაში, 1 მარტს, დაჭრილ იქმნა მძიმეთ, სოფელს ჩუმლაყთან; 1814 წელს იმას

ეხედეთ რუსების ჯარში, რომელმაც პარიკი აიღო; 1828 წელს დანიშნულ იქმნა სომხეთის მმართველად; 1829-ს სამხედროს-სამხედრო უმფროსად კახეთში. ამ დროს ის უკვე გენერალ-მაიორი იყო და დიდი დასაწყობებული ორდენებითა.

1832 წელს მას ერთი განსაცდელი ეწია, რომლისაგან ვერც სამსახურმა დაიხსნა და ვერც გვაჩი-შვილობამ. საქართველოში ამ წლის ბოლოს მთავრობამ შეთქმულობა აღმოაჩინა და სხვათა შორის ბრალი დასდევს ჩვენ პოეტსაც და იგი დაიჭირეს. გამოძიებდნენ აღმოჩნდა, რომ ალექსანდრეს დიდი მნაწილეობა არა ჰქონია რა ამ შეთქმულობაში, მაგრამ ის მაინც გაამტყუნეს და 1834 გაგზავნეს რამდენიმე ხნით ტამბოვში, სასინანულოდ.

ტამბოვიდამ ა. შავქავაძე მალე დაბრუნდა სა-

ქართველოში, დანიშნა სხვა-და-სხვა უმაღლეს სამოქალაქო და სამხედრო ადგილებში, უკანასკნელად იყო მწვერად ქაეკაზის ნამესტნიკის ჩიჩევისა და იმავე დროს ნაჩალნიკად მთელი ფოშტების უწყებისა ქაეკასიაში; ამას გარდა სიკვდილის წინაღ მარანტოვმა დანიშნა იგი თბილისის თეატრის საქმეთათვის დანიშნული კამისიის წევრათ.

ალექსანდრე შავქავაძე გადაიცილა 6 ნოემბერს 1846 წელს. ის არის დასაფლავებული ძაბეთს შუა მთის მონასტერში. იმ ძეგლზე, რომელიც ალუმართა მას მისმა სიძემ, სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა, წარწერილია: „თავადი ალექსანდრე შავქავაძე მიიცილა ამ წლის 6 ნოემბერს ჩემ. მწუხრსა განისვენოს ტირილმან და ცისკარსა სიხარულმან“. უსალ. კ. თ.

რედაქტორი და გამომცემელი ვ. ხაშიძე.



გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა ნ ი

საუოველ-კვირბო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი

„თეატრი“

გამოდის 1885 წ. ენკენასთვიდამ ქ. თბილისში. გარდა პირ-და-პირი თქვას დანაშნულებისა, ე. ი. ადგილობრივი თეატრების (განსაკუთრებით ქართული) მდგომარეობის დაწვრილებით ალწერისა. «თეატრი», ჩვენ ლიტერატურასაც თვალს ადევნებს. დრო გამოშვებით «თეატრი»-სა შეითსკული ნასხვს მთისნობებს, ღექსებს და ბუკრს სსვა-და-სსვა, ჩვენს შეითსკულათვის, საუურადღებო ამბებს.

ჩვენ ლიტერატურაში გამოჩენილ მოღვაწეთ «თეატრი»-ს აღუთქვეს თავინთი მონაწილეობა. «თეატრი» გამოვა კვირბაში ერთსეულ, კვირბობით. ფასი «თეატრი»-სა: წლით როგორც ქალქის, აგრეთვე გარეშე სელის მომწერთათვის ღირს სუთი (5) მანეთი, ნასეკარის წლით—სამა (3) მანეთი. ცალკე ნომერი ღირს სამი შაური.

ხელის მოწერა მაილება: თბილისში «თეატრი»-ს რედაქციაში და გრიგ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში
 შუთისში—მ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакция „Театръ“.

გ. ჩარკვიანის წიგნის მკვლევარის იხილვა

სურათი
ჩვენის განსვენებულის პოეტის
თავ. ალექსანდრე ჰაშვავაძისა
მხატვრობა ალ. ბერიძისა

ფასი ჩინებულ ქალაქზე მართი აბაზი.
მინც ათზე მეტს გამოიწერს, თითო სურათი სამ
შურათ ღებობა.

ВЪ ГОРОДѢ КАРСѢ,
ВЪ КАНЦЕЛЯРІИ ВОЕН. ГУБЕРНАТОРА
КАРСКОЙ ОБЛАСТИ
ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА ГАЗЕТУ
„КАРСЪ“
НА ВУДЦІИ 1886 ГОДѢ.

газета „КАРСЪ“ въ 1886 году будетъ издаваться на тѣхъ же основаніяхъ, какъ и въ текущемъ году, подъ тою-же редакціею.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:
съ достаскою и пересылкою въ годъ три рубля, за четыре мѣсяца одинъ рубль.

Подписка принимается въ Канцелярїи Военнаго Губернатора, куда адресуютъ свои требованія и иногородные.

Газета „КАРСЪ“ имѣетъ ближайшею цѣлью всестороннее изученіе Карской Области и распространеніе въ обществѣ вѣрныхъ и точныхъ свѣдѣній, какъ о нынѣшнемъ ея состоянїи, такъ и о мѣропрїятїяхъ, направленныхъ къ ея благоустройству. Цѣль эта можетъ быть достигнута въ той мѣрѣ, въ какой лица, имѣющїя, по своему положенію, возможность собирать свѣдѣнія по тѣмъ или другимъ вопросамъ, касающимся Области, ея населенія и расположенныхъ въ ея предѣлахъ частей войскъ, выразятъ свое сочувствіе газетѣ и пожелаютъ оказать ея редакціи просвѣщенное свое содѣйствіе сообщеніемъ имѣющихся въ рукахъ свѣдѣній и матеріаловъ; а потому редакція убѣдительно проситъ этихъ лицъ не отказать ей въ своемъ участїи.

Дозволено Цензурою Тифлисъ, 1885 г. 2 ноября.

სტამბა

გ რ . ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი ს ა

იღებს ყოველ სასტამბო საქმეებს დასაბამად
თბილისი ლონის-მელიქ. ქუჩისზე წიგნაღვრის სასაღვრეში
სემინარიის პირ-და-პირ.

დაიბეჭდა და იხილვა
გ რ . ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი ს ა
ქართული მწერლობა
მეცამეტე საუკუნისამ - მეოთხესამეტე საუკუნემდე
წიგნში შეკრებილი და შეტანილია ყველა
იმ მწერალთა სახელები, ვინც კი ცნობილი
არაიან საქართველოს საეკლესიო და სამოქალაქო
ისტორიებში, როგორც საერონი, ისევე
სასულიერო პირნი და განსაკუთრებით ქართველთ
კათალიკოზნი. მოხსენებულია აგრეთვე ყველა
იმ წიგნებთა სახელები, რომლებს დაწვერთა
ვინაობა არა სჩანს და ზოგ თხზულებებებსაც
ჩვენამდგს არ მოუხწევიათ.

ფასი 25 კაპ.

მიიღება ამ 1885 წ. ხელის მოწერა
ყრბთა საკითხავ საყოველთაო სურათებან ჟურნალ
„ნ ა ბ ა თ ე ლ“
პედაგოგიური ნაწილის დამატებით —
მშობელთათვის და აღმზრდელთათვის.
მთელი წლით ჟურნალი „ნოტატი“ ღირს
ოთხა მანათი. ხელის მოწერა მიიღება
„ნოტატი“-ს რედაქციაში.
„ნოტატი“-ს რედაქცია ახალს სადგურში
გადავიდა.
აღრესი: სოლოლაკი, შრეილინის ქუჩა,
№ 7, ჩაიგეშტოვის სახლი.
(3-3)

Типографія Гр. Чарквіани. სტამ. გრ. ჩარკვიანისა.